ორიენტირი

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

# კატალოგი

შპს ორიენტირი
მისამართი:
ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დადიანის 26

ელფოსტა:
collegeorientiri@gmail.com

ვებგვერდის მისამართი:
www.orientiri.edu.ge
ფეისბუქი:
www.facebook.com/orientiri/

2023 წელი

განახლებული ვერსია

# შპს ორიენტირი

## 2023 წლის კატალოგი

მისამართი:

ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დადიანის 26,

მობილური:

577-78-47-46;

599-27-57-39

ტელეფონი:

0322-69-51-15

ელფოსტა:

collegeorientiri@gmail.com

ფეისბუქგვერდი:

https://www.facebook.com/orientiri/

ვებგვერდის მისამართი:
ww.orientiri.edu.ge

ავტორიზაცია

შპს ორიენტირი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული პროფესიული საგანამანთლებლო, რომელიც ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამებს ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის სფეროებში.

წევრობა

შპს ორიენტირი არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია ..... 5
ორიენტირის შესახებ ..... 5
მისია ..... 7
ხედვა ..... 7
ღირებულები ..... 8
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაცია ..... 9
საექთნო განათლება ..... 10
ფარმაცია (სააფთიაქო) ..... 14
კბილის სატექნიკო საქმე ..... 18
აღმზრდელი ..... 22
ღონისძიების ორგანიზება ..... 28
საფინანსო სერვისები ..... 31
პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების მოკლევადიან პროგრამები ..... 35
სადღესასწაულო ღონისძიების დაგეგმვა ..... 36
სალაროს ოპერაციების განხორციელება ..... 37
ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ..... 38
ინფრასტრუქტურა ..... 39
სტუდენტური სერვისები ..... 40
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ..... 40
კოლეჯის პერსონალი ..... 41
პარტნიორი ორგანიზაციები ..... 9

# ზოგადი ინფორმაცია

## ორიენტირის შესახებ

შპს ორიენტირი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც დაარსდა 1992 წელს და დღემდე ზრუნავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებისთვის.

კოლეჯი „ორიენტირი" ფუნქციონირებს 1 270,52 კვადრატული მეტრის საერთო ფართის მქონე 3 სართულიან შენობა-ნაგებობაში, რომელიც განთავსებულია 1701 კვ.მ. მიწის ფართზე. კოლეჯს აქვს სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი ნათელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, დასასვენებელი სივრცე სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები, სამედიცინო ოთახი, საკონფერენციო/ღონისძიებების დარბაზი. შენობის ყველა სართულზე შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით სარგებლობა. შენობა და მიმდებარე ტერიტორია კონტროლდება სათვალთვალო კამერით. კოლეჯს აქვს ეზო, რომელზეც განთავსებულია სპორტული მოედანი და ავტოსადგომი.

კოლეჯმა 2016 წელს წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და მოიპოვა საგნობრივი პროგრამების - „ექთნის თანაშემწე" (მესამე საფეხური), „პრაქტიკოსი ექთანი" (მეხუთე საფეხური), „კბილის ტექნიკოსი" (მესამე, მეოთხე, მეხუთე საფეხურები), „მცირე ბიზნესის მწარმოებელი" (მეხუთე საფეხური), ასევე, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი" (მეხუთე საფეხური) და „ფარმაცევტის თანაშემწე" (მეოთხე საფეხური) - განხორციელების უფლება. ამავე წლის ნოემბერში კოლეჯმა დაიმატა 2 ახალი საგნობრივი პროფესიული პროგრამა - „მასაჟისტი" (მესამე საფეხური) და „ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი" (მეხუთე საფეხური).

2019 წელს კოლეჯმა მოიპოვა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება: „საექთნო განათლება" (მეხუთე დონე) „ფარმაცია (სააფთიაქო)" (მეხუთე დონე), „საფინანსო სერვისები" (მესამე დონე),

„კბილის ტექნიკოსი“ (მეოთხე დონე) და „ღონისძიების ორგანიზება“ (მეოთხე დონე). ხოლო, 2021 წელს კოლეჯმა დაიმატა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „აღმზრდელი“ (მეხუთე დონე), „ღონისძიების ორგანიზება“ (ინტეგრირებული - მეოთხე დონე) და გაზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ (მეხუთე დონე).

კოლეჯს მოპოვებული აქვს პროფესიული მომზადების („სადღესასწაულო ღონისძიების დაგეგმვა“, „სალაროს ოპერაციების განხორციელება“) და გადამზადების („ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ ) პროგრამების განხორციელების უფლება.

შპს ორიენტირმა არსებობის მანძილზე ბევრ წარმატებას მიაღწია:

- კოლეჯმა 2016 წელს, ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის მიერ ჩატარებულ, საწარმოო სამეურნეო სუბიექტების ზოგადსახელმწიფოებრივი რანჟირების, კრიტერიუმის „მართვის ეფექტიანობის“ მიხედვით, შევიდა ლიდერ საწარმოთა ტოპ-ათეულში, როგორც ლიდერი საწარმო და გადაეცა შესაბამისი ჯილდო „ოქროს რეიტინგი“.
- შპს ორიენტირმა მონაწილეობა მიიღო და მაქსიმალური შეფასება- „ხუთი ვარსკვლავი“ დაიმსახურა, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ბრენდირებაში „ბრენდირება 2016“ და „ბრენდირება 2017“. კოლეჯი აქტიურად მონაწილეობდა და კვლავაც აგრძელებს მონაწილეობას კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, რისთვისაც მიღებული აქვს არაერთი სერტიფიკატი.
- სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის“ მიერ, 2019 წელს კოლეჯი ორიენტირი დაჯილდოვდა „საუკეთესო პარტნიორის ტიტულით“ განსაკუთრებული თანამშრომლობისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის გაწეული ღვაწლისთვის. კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარებას, რისთვისაც მათი ჩართულობითა და მონაწილეობით, პერმანენტულად ატარებს საქველმოქმედო ღონისძიებებს მოხუცებულთა თავშესაფრებსა თუ ბავშვთა სახლებში. კოლეჯს მიღებული აქვს არაერთი სამადლობელი წერილი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები. ისინი მუდმივად ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე სხვადასხვა ტრენინგებში და ღონისძიებებში მონაწილეობით, რითიც შეაქვთ საკუთარი წვლილი პროფესიული პროგრამების დახვეწა/განვითარებაში. პრაქტიკულ

კომპონენტებს პროფესიულ სტუდენტები ეუფლებიან წარმატებულ ორგანიზაციებსა და კომპანიებში, კვალიფიციური კადრების ხელშეწყობით.

კოლეჯში მიღებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალ მაჩვენებელს ადასტურებს მათი დასაქმების სტატისტიკა.

შპს ორიენტირი, დაარსების დღიდან ფეხს უწყობს ქვეყანაში განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს და აქტიურად არის ჩართული პროფესიული განათლების განვითარების პროცესში.

# მისია

შპს ორიენტირი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მისიას წარმოადგენს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის გზით, შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ - ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური, კომპეტენტური, პასუხისმგებლობიანი, კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის მომზადება და დასაქმების ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს მათ, საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში. კოლეჯი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებად, პროფესიული საგანმანათლებლო,პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებაზე ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის სფეროებში.

# ხედვა

2028 წლისთვის შპს ორიენტირი იქნება სწავლების მაღალი დონით გამორჩეული კონკურენტუნარიანი, ერთ-ერთი ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოამზადებს ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის სფეროებში, შრომის ბაზრის გამოწვევების შესაბამის მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსს და რომელიც მზად იქნება უპასუხოს თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს.

## ღირებულებები

- ხარისხზე ორიენტირება - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე მოთხოვნილი ხარისხი;
- თანამშრომლობა - თანამშრომლობაზე ორიენტირებული ჯგუფი; ღიაა თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- სამართლიანობა - კოლეჯში მიღებული გადაწყვეტილებები, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს;
- სოციალური პასუხისმგებლობა - კოლეჯი ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით, წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაცია

შპს ორიენტირი გთავაზობთ მაღალი ხარისხის, თანამედროვე, შედეგებზე ორიენტირებულ პროგრამებს. ამ პროგრამებში პრაქტიკული სწავლების წილი იმდენად დიდია, რომ პროფესიული სტუდენტები თანამშრომლებად უფრო გრძნობენ თავს, ვიდრე სტუდენტებად, რაც ხელს უწყობს მათ მარტივად დასაქმებას.

კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო შემდეგ პროგრამებს:

- საექთნო განათლება / Nursing
- ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy
- კბილის სატექნიკო საქმე / Dental technician case
- აღმზრდელი / Preschool Educator
- საფინანსო სერვისები / Finance services
- ღონისძიების ორგანიზება / Event Management

# საექთნო განათლება / Nursing

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში / Higher Vocational Qualification in Nursing.“

2. პროგრამის მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

3. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინ მოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი



5. სტრუქტურა და მოდულები

შპს ორიენტირმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“, რომელიც ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის

- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება -90 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. კოლეჯი „ორიენტირი “პასუხისმგებელია თეორიული და კლინიკური მეცადინეობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე. პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90კრედიტი) შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდება

ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობაა 31,25 სასწავლო თვე (125კვირა).

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. “

ქართული ენა A2 15 კრედიტი

ქართული ენა B1 15 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 210 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობაა 36,25 სასწავლო თვე (145კვირა).

| საექთნო განათლება | | |
|---|---|---|
| ზოგადი მოდულები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| | | |
| 2 | კომუნიკაცია საექთნო საქმეში | 2 |
| 3 | ინგლისური ენა - საექთნო საქმეში | 5 |
| | ჯამი | 9 |
| თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ჰისტოლოგია | 2 |
| 2 | ბიოქიმია | 4 |
| 3 | მიკრობიოლოგია | 4 |
| 4 | ანატომია-ფიზიოლოგია | 10 |
| 5 | პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია) | 4 |
| | ჯამი | 24 |
| თეორიული სწავლება საექთნო საქმე | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში | 4 |
| 2 | ფარმაკოლოგია | 5 |
| 3 | ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში | 2 |
| 4 | ინფექციის კონტროლის საფუძვლები | 2 |
| 5 | გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები | 3 |
| 6 | ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები | 6 |
| 7 | თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები | 7 |
| 8 | გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები | 3 |
| 9 | კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია | 5 |

| | | |
|---|---|---|
| 10 | სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები | 2 |
| 11 | პედიატრია და მოზარდები | 3 |
| 12 | ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია | 3 |
| | ჯამი | 45 |

| თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებები | | |
|---|---|---|
| | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში | 1 |
| 2 | სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში | 3 |
| 3 | საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები | 2 |
| | | |

| პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება (შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კლინიკაში) | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ავადმყოფის მოვლა | 4 |
| 2 | შინმოვლა | 2 |
| | ჯამი | 6 |

| პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა | 11 |
| 2 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა | 6 |
| 3 | კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა | 11 |
| 4 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა | 6 |
| 5 | კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა | 10 |
| 6 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა | 5 |
| 7 | კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა | 12 |
| 8 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა | 4 |
| 9 | კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა | 6 |
| 10 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა | 3 |
| 11 | კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები | 7 |
| 12 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები | 3 |
| 13 | კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია | 3 |
| 14 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია | 3 |
| | ჯამი | 90 |

6. სწავლის შედეგები:

კურსდამთვრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;

2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. განახორციელოს პრეოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინ მოვლის მომსახურების გაწევა;
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისადა მოვლის ხარისხის შეფასება.

7. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

კლინიკური სწავლების მოდულების შეფასების ინსტრუმენტად და მტკიცებულებად, ტრადიციული ინსტრუმენტების ალტერნატივად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ დეტალურად შევსებული დაკლინიკური მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები, მოცემულია მოდულებში.

8. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

# ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია",კოდი 0916, აღმწერი - ,,შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას."

2. პროგრამის მიზანი: საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაციის (სააფთიაქო), მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების და განთავსებას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, მცირე შეფუთვებად მზა სამკურნალწამლო ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალების მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

3. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის / ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.




5. სტრუქტურა და მოდულები: საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო), ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. პირმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, შეადგენს 120 კრედიტს,ხოლო სწავლის ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე (84 კვირა)

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით." ქართული ენა (A2) 15 კრედიტი ქართული ენა ( B1) 15 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული

ენის კომპეტენცია შეადგენს 150 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობაა 26 სასწავლო თვე (104 კვირა).

| ფარმაცია (სააფთიაქო) | | |
|---|---|---|
| ზოგადი მოდულები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| | | |
| 2. | ინგლისური ენა | 5 |
| 3. | ინფორმაციული წიგნიერება 2 | 3 |
| სულ | | 11 |
| პროფესიული მოდულები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1. | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში | 3 |
| 2. | სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია | 3 |
| 3. | სითხოვანისამკურნალწამლოფორმების მომზადება | 5 |
| 4. | მყარი და რბილისამკურნალწამლო ფორმების მომზადება | 5 |
| 5. | მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება | 2 |
| 6. | პროდუქციის მიღება - განთავსება და ნაშთის პერიოდული კონტროლი | 4 |
| 7. | მომხმარებელთანურთიერთობაფარმაცევტულდაწესებულებებში | 2 |
| 8. | მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა | 3 |
| 9. | მომხმარებლისთვისბიოლოგიურადაქტიურიდანამატებისშერჩევა | 3 |
| 10. | მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა | 2 |
| 11. | მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა | 2 |
| 12. | ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები | 4 |
| 13. | მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები | 6 |
| 14. | ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები | 5 |
| 15. | ბიოქიმია | 4 |
| 16. | მიკრობიოლოგიის საფუძვლები | 4 |
| 17. | ფარმაკოლოგია | 7 |
| 18. | ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები | 8 |
| 19. | ანალიზური ქიმიის საფუძვლები | 4 |
| 20. | სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1 | 4 |
| 21. | სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2 | 6 |
| 22. | ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა | 5 |

| | | |
|---|---|---|
| 23. | ბოტანიკა | 4 |
| 24. | სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული | 7 |
| 25. | სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები | 4 |
| 26. | პირველადი გადაუდებელი დახმარება | 3 |
| სულ | | 109 |

6. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
4. განათავსოს პროდუქციასათანადო ადგილზე;
5. ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
6. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
7. მოამზადოსრეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილისამკურნალწამლო ფორმები;
8. გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება,კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
10. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
11. განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალურისამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;
12. დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

7. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი

ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი / მეთოდები მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

8. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 120 კრედიტი.

9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირმა სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის / წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

# კბილის სატექნიკო საქმე/Dental technician case

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში / Secondary Vocational Qualification in Dental Studies

2. მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კბილის სატექნიკო საქმის კონკურენტუნარიანი კადრები.

3. დაშვების წინაპირობა -სრული ზოგადი განათლება

4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: დენტალური საქმის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის ტექნიკოსად კბილის სატექნიკო კაბინეტში, კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

სტრუქტურა და მოდულები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „კბილის სატექნიკო საქმე" სტუდენტმა კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს ჯამურად 85 კრედიტი, რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 70 კრედიტი არის პროფესიული მოდულები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, შეადგენს 85 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა: 16,5 სასწავლო თვე ( 66 კვირა.)

მოდულები ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ დაუდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით დაუდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით



.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, შეადგენს 115 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა: 21,5 სასწავლო თვე ( 86 კვირა).

| კბილის სატექნიკო საქმე/Dental technician case | | |
|---|---|---|
| ზოგადი მოდულები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 2 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| 3 | მეწარმეობა 2 | 2 |
| 4 | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| 5 | ინგლისური ენა | 5 |
| სულ: | | 15 |

| პროფესიული მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1. | გაცნობითი პრაქტიკა - დენტალური საქმე | 2 |
| 2. | პირის ღრუს ანატომიური სტრუქტურის  იდენტიფიცირება | 2 |
| 3. | კბილების ძერწვა და მოდელირება | 3 |
| 4. | კბილის მაგარ და რბილ ქსოვილთა დაზიანების იდენტიფიცირება | 2 |
| 5. | მასალათმცოდნეობა და მისი გამოყენება | 3 |
| 6. | სატექნიკო ლაბორატორიის მოწყობა | 0,5 |
| 7. | ბიომექანიკური აპარატების პრაქტიკაში გამოყენება | 1 |
| 8. | მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის დამზადება | 8 |
| 9. | ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზების მომზადება, პოლიმერიზაცია | 4 |
| 10. | მარტივი ბიუგელისებური პროთეზის დამზადება | 3 |
| 11. | მეტალის ჩამოსხმის ტექნოლოგია | 2 |
| 12. | მეტალოკერამიკა | 4 |
| 13. | ფაიფურის დამზადების ტექნოლოგია | 4 |
| 14. | სამუშაოს მიღება, ანალიზი და დაგეგმვა ექიმთან ერთად | 1 |
| 15. | ორთოდონტული აპარატები | 4 |
| 16. | კად კამი და სინთერიზაცია | 1 |
| 17. | რთული ბიუგელისებური პროთეზი საკეტისებური სამაგრით | 8,5 |
| 18. | მოუხსნელი იმპლანტკონსტრუქციები | 5 |
| 19. | მოსახსნელი იმლანტკონსტრუქციები | 4 |
| 20. | ცირკონოკერამიკა | 4 |
| 21. | პლასტმასისა და მეტალის კონსტრუქციები | 4 |
| სულ: | | 70 |

5. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს  შეუძლია:

1. დაგეგმოს სატექნიკო ლაბორატორიის მოწყობა
2. შეამოწმოს აპარატურის გამართულობა

3. გააკეთოს არჩევანი კონკრეტული კლინიკური სიტუაციის მიხედვით ოკლუდატორსა და არტიკურატორს შორის
4. ჩაათაბაშიროს მოდელის ოკლუდატორსა ან არტიკულატორში
5. ჩამოასხას მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად თაბაშირის საორიენტაციო მოდელები
6. მონიშნოს საზღვრები მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად თაბაშირის საორიენტაციო ჩამოსხმულ მოდელებზე
7. გადააკრას საორიენტაციო მოდელზე ცვილის ფირფიტა
8. დაამზადოს არჩეული მასალით ინდივიდუალური კოვზი
9. დაამზადოს ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზებისთვის სამუშაო მოდელი
10. დააფიქსიროს კლამერი ბაზისში
11. შეარჩიოს/დააფიქსიროს ხელოვნური კბილები
12. მოახდინოს მოდელებზე საყრდენი კბილების გრავირება
13. დაამზადოს დასაშლელი კომბინირებული თაბაშირის მოდელი
14. შეაფასოს თვისობრივად ექიმის მიერ მოწოდებული ანაბეჭდი.

6. შპს ორიენტირმა, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კბილის სატექნიკო საქმე, რომლის მოცულობაა 85 კრედიტი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე ნაკლები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

7. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე(თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მაშინ ამ მოდულის დაწყებამდე) მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი,

კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში შეფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- მაკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

10. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭება შპს ორიენტირის უფლებაა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე ნაკლები რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

# ალმზრდელი / Preschool Educator

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სახელწოდება: „აღმზრდელი“ / Preschool Educator

2. მიზანი: აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

3. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: პროგრამის დასრულების შედეგად პირს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education.“.

4. დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.



6. სტრუქტურა და მოდულები:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 3 ზოგადი სავალდებულო მოდულისაგან, ჯამში 11 კრედიტი და 24 სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულისაგან, ჯამში 105 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 116 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა 76 სასწავლო კვირას (19 სასწავლი თვე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, შეადგენს 146 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა 96 სასწავლო კვირას (24 სასწავლო თვე).

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ

ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ დაუდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

| აღმზრდელი / Preschool Educator | | | |
|---|---|---|---|
| ზოგადი სავალდებულო მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | |
| | | | |
| 2 | მეწარმეობა 3 | სრული ზოგადი განათლება | 3 |
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება 2 | სრული ზოგადი განათლება | 3 |
| სულ: | | | 11 |
| სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | |
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება | სრული ზოგადი განათლება | 2 |
| 2 | პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება | სრული ზოგადი განათლება | 12 |
| 3 | შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში | სრული ზოგადი განათლება | 5 |
| 4 | პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში | სრული ზოგადი განათლება | 3 |
| 5 | ბავშვის განვითარების თავისებურებები | სრული ზოგადი განათლება | 4 |
| 6 | ადრეული განათლების კურიკულუმები | მოდულები:<br>-შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში;<br>- ბავშვის განვითარების თავისებურებები | 5 |
| 7 | დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში | მოდულები:<br>· შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში<br>· ბავშვის განვითარების თავისებურებები | 6 |
| 8 | დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში | მოდულები:<br>· შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში<br>· ბავშვის განვითარების თავისებურებები<br>· ადრეული განათლების კურიკულუმები<br>· საგანმანათლებლო გარემო<br>· ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია | 3 |
| 9 | ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში | სრული ზოგადი განათლება | 3 |
| 10 | ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | სრული ზოგადი განათლება | 6 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 | თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში | მოდულები:<br>· შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში<br>· ბავშვის განვითარების თავისებურებები<br>· ადრეული განათლების კურიკულუმები | 2 |
| 12 | საგანმანათლებლო გარემო | მოდულები:<br>· შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში<br>· ბავშვის განვითარების თავისებურებები<br>· ადრეული განათლების კურიკულუმები<br>· დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში | 8 |
| 13 | ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში | მოდულები:<br>· შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში<br>· ბავშვის განვითარების თავისებურებები<br>· ადრეული განათლების კურიკულუმები<br>· საგანმანათლებლო გარემო<br>· ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია | 2 |
| 14 | ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია | მოდულები<br>· შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში<br>· ბავშვის განვითარების თავისებურებები<br>· ადრეული განათლების კურიკულუმები<br>· საგანმანათლებლო გარემო | 9 |
| 15 | კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში | მოდულები:<br>· ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია<br>· საგანმანათლებლო გარემო<br>· დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში | 4 |
| 16 | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში | მოდულები:<br>· ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია<br>· საგანმანათლებლო გარემო<br>· დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში | 5 |
